საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი მ. ნ. /სიითი N/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.06.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 048/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. გ.-ის მიმართ /სიითი №/

ადვოკატის წარმომადგენლები: ადვოკატი თ. ჭ. /სიითი N/, ადვოკატი ც. გ. /სიითი N/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. გ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2017 წლის 14 ივნისს საჩივრით მომართა ადვოკატმა მ. ნ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. გ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ გორის რაიონული სასამართლო განიხილავდა სისხლის სამართლის საქმეს ბრალდებულ ანზორ ხაბაზიშვილის მიმართ. საქმეში თავად არის ბრალდებულის ადვოკატი. საქმეზე დაიკითხა არაერთი არასრულწლოვანი მოწმე, რომელთა ნაწილის ინტერესების დაცვას ახორციელებდა ადვოკატი მ. გ..

1.3 ადვოკატი მ. გ. მოქმედებდა თავისი დაცვის ქვეშ მყოფთან შეუთანხმებლად, არ ითვალისწინებდა მის საუკეთესო ინტერესს. ადვოკატი მოქმედებდა პროკურორის სურვილის შესაბამისად, ასრულებდა პროკურორის მითითებებს, უპირობოდ ეთანხმებოდა პროკურორის შუამდგომლობებს ისე, რომ თავის დაცვის ქვეშ მყოფებს აზრს არ ეკითხებოდა.

1.4 2017 წლის 02 აგვისტოს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ 2017 წლის 17 მარტს პროკურორმა დააყენა შუამდგომლობა და მოითხოვა მოწმეების დაკითხვის დროს ბრალდებულის სასამართლო დარბაზიდან გაყვანა, რადგან ბრალდებულის სასამართლო დარბაზში ყოფნას შეიძლება ემოქმედა არასრულწლოვან მოწმეთა პოზიციაზე. ადვოკატი დაეთანხმა პროკურორის შუამდგომლობას ისე, რომ თავისი დასაცავი პირებისათვის აზრი არ უკითხავს.

1.5 ადვოკატი განმარტავს, რომ ადვოკატ მ. გ.-ის მხრიდან თავისი დაცვის ქვეშ მყოფთა პოზიციის გაუთვალისწინებლობა არ იყო ერთჯერადი ქმედება. ადვოკატი მუდმივად მოქმედებდა პროკურორის ნების შესაბამისად.

1.6 2017 წლის 18 აპრილის სასამართლო სხდომაზე, მოწმეების მაიკო ლაბაძისა და ანა ჯოჯიშვილის დაკითხვის დროს, პროკურორმა ისევ იშუამდგომლა სასამართლო დარბაზიდან ბრალდებულის გაყვანის თაობაზე, ადვოკატი ისევ დაეთანხმა პროკურორის შუამდგომლობას, კლიენტთა ნების გაგების გარეშე. ადვოკატს არ უთხოვია შესვენების გამოცხადება, რომ გაერკვია დასაცავ პირთა პოზიცია. ამ სხდომაზე ადვოკატ მ. ნ.-ის კითხვაზე, ეს პოზიცია მან თუ შეათანხმა კლიენტებთან, ადვოკატმა მ. გ.-მა უპასუხა, რომ არ შეუთანხმებია. მოსამართლემ არ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა ბრალდებულის დარბაზიდან გაყვანის თაობაზე.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის 12 ივნისის სხდომაზე, სხდომის დასრულებისას, რადგან მოწმე მ. ე. არ იყოს საქართველოში, პოლიციის მეშვეობით მოიყვანეს მოწმის ბებია და ადვოკატი, ბებიას სასამართლომ ჰკითხა პოზიცია გამოქვეყნებულიყო თუ არა მოწმე მ. ე.-ის ჩვენება. ამ დროს მ. გ. დარბაზში იჯდა დამსწრის ადგილას. მ. გ.-მა, ისე რომ არ უსაუბრია მ. ე.-თან, არ იცოდა მისი პოზიცია, განაცხადა, რომ გამოქვეყნებულიყო მ. ე.-ის პოზიცია. ადვოკატი განმარტავს, რომ ამ დღეს მ. ე.-ის ჩვენება არ გამოქვეყნებულა, რადგან სამუშაო საათები იყო დასრულებული, ბრალდებული იყო გადაღლილი და მან იშუამდგომლა სხდომის გადადების თაობაზე, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2017 წლის 19 ივლისს მ. ე. ჩამოვიდა საქართველოში, განცხადებით მიმართა სასამართლოს და დაიკითხა. როდესაც მ. ე.-მა დაურეკა მ. გ.-ს, როგორც მის ადვოკატს, რომ სურდა მისი დახმარება, ადვოკატმა უთხრა, რომ სხვაგან მოხვდა. ამის შემდეგ მ. ე.-მა მიაკითხა სამსახურში, სადაც განუმარტეს, რომ ადვოკატი იყო ტრენინგზე. ადვოკატმა თავის დაცვის ქვეშ მყოფთან კომუნიკაცია არ დაამყარა, არ მისცა რჩევა. მ. ნ. განმარტავს, რომ დაურეკა იურიდიული დახმარების სამსახურს, აცნობა, რომ არასრულწლოვანი მოწმე, რომელიც იმ დღეს უნდა დაკითხულიყო, დარჩა დაცვის უფლების გარეშე. იურიდიული დახმარების სამსახურმა მ. ე.-ს დაუნიშნა სხვა ადვოკატი.

1.9 2020 წლის 16 იანვრის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ ადვოკატი მ. გ. იცავდა დაახლოებით 10 მოწმეს, რომელთა ინტერესები შესაძლოა გასხვავებული ყოფილიყო, ყველა მოწმე იძლეოდა სხვადასხვა ჩვენებას.

1.10 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ყველა ადვოკატი ვალდებულია ღირსეულად წარმოაჩინოს ადვოკატის პროფესია. ადვოკატი უნდა იცავდეს კლიენტის და არა პროკურატურის ინტერესებს. მისი, როგორც ადვოკატის ინტერესია, რომ ყველა ადვოკატი მოქმედებდეს ისე, რომ ჩრდილს არ აყენებდეს ადვოკატის სახელს.

1.11 საჩივრის ავტორმა დააყენა აცილება კოლეგიის მიმართ, რადგან კოლეგიის არც ერთი წევრი არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზირებული ადვოკატი, რომ შეძლონ სადავო საკითხის განხილვა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. გ.-მა 2017 წლის 04 ივლისს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ განმარტებაში აღნიშნა, რომ არის იურიდიული დახმარების სამსახურის შიდა ქართლის ბიუროს ადვოკატი და ბრალდებულ ანზორ ხაბაზიშვილის საქმეში, როგორც მოწმეთა დამცველი, ჩაერთო 2017 წლის 15 მარტს, სავალდებულო წესით, მოსამართლის დადგენილების საფუძველზე, რადგან საქმეზე დასაკითხნი იყვნენ ბრალდების მხარის არასრულწლოვანი მოწმეები.

2.2 ადვოკატის განმარტებით, საქმის წარმოების დროს მოქმედებდა არასრულწლოვნების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და კეთილსინდისიერად შეასრულა პროფესიული ფუნქციები.

2.3 2020 წლის 18 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ მისი საქმეში ჩართვა მოხდა გამოძიების დასრულების შემდეგ, სასამართლო ეტაპზე, გამოძიების ეტაპზე არ იცავდა მოწმეებს.

2.4 ადვოკატი განმარტავს, რომ მას დაევალა რამდენიმე არასრულწლოვანი მოწმის დაცვა, რომელთაგან ზოგი შედარებით ადრე დაიკითხა, ზოგი მოგვიანებით, ეს იყო ბრალდების მხარის გადასაწყვეტი. პერიოდულად, ადვოკატი რეკავდა მოწმის მ. ე.-ის მისთვის ცნობილ, საქმეში არსებულ საკონტაქტო ნომერზე, მასთან დაკავშირებას ვერ ახერხებდა. როდესაც მოახლოვდა სხდომის დღე, მან შეიტყო, რომ მ. ე. იყო საზღვარგარეთ და ვერ ამყარებდა მასთან კომუნიკაციას, მაგრამ კომუნიკაცია ჰქონდა მის კანონიერ წარმომადგენელთან, ბებიასთან და მოქმედებდა მასთან შეთანხმებით.

2.5 იმ შემთხვევაში, თუ იარსებებდა ინტერესთა კონფლიქტის საფრთხე, ბიურის უფროსის გადაწყვეტილებით საქმეში ჩაერთვებოდა რეესტრის ადვოკატი. ინტერესთა კონფლიქტი არ არსებობდა, რადგან ბრალდების მხარის მოწმეების პოზიციებს შორის არ იყო წინააღმდეგობა. ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტს არც ერთი მოწმე ადასტურებდა. დანაშაულის ჩადენის დროს მოწმეები ტერიტორიულად იყვნენ სხვადასხვა ადგილას და მათი პოზიციები შესაძლოა განსხვავებული იყო, იმის მიხედვით, ვინ რა დაინახა და როგორ აღიქვა, სუბიექტურად.

2.6 ადვოკატი განმარტავს, რომ ის იყო ტრენინგზე და არ ჰქონდა ვალდებულება ეპასუხა ზარებისათვის, რომელიც მასთან შევიდა მისთვის უცნობი ნომრიდან, შესაბამისად კოლეგის პრეტენზია, რომ კლიენტს შეუზღუდა დაკავშირება, უსაფუძვლოა.

2.7 ადვოკატი განმარტავს, რომ მასთან არც მ. ე.-ს და არც მის კანონიერ წარმომადგენელს პრეტენზია არ აქვთ.

2.8 ადვოკატი განმარტავს, რომ რაღაც ნაწილში დაეთანხმებოდა ბრალდების მხარის შუამდგომლობას, რადგან იცავდა ბრალდების მხარის მოწმეებს და მისი ინტერესი იყო არასრულწლოვან მოწმეთა საუკეთესო ინტერესების დაცვა.

2.9 ჩვენების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ადვოკატი განმარტავს, რომ მან მოახსენა სასამართლოს, რომ არ იცოდა კლიენტის პოზიცია და თავად ვერ დააფიქსირებდა რაიმე სახის პოზიციას, კონკრეტული პოზიციის დაფიქსირებისაგან თავი შეიკავა. ადვოკატი განმარტავს, რომ რომც დათანხმებოდა ჩვენების გამოქვეყნებას, ეს ნიშნავს, რომ როგორც ადვოკატმა ჩათვალა, რომ არასრულწლოვანი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ასე სჯობდა.

IV სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ადვოკატმა მ. ნ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 14 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წელს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები და გადაწყვიტა, რომ მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 ადვოკატმა მ. ნ.-მ ეჭვი გამოხატა კოლეგიის წევრების კვალიფიკაციაში, რადგან მათ ასოციაციის მიერ არ აქვთ მინიჭებული დამატებითი სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, რის საფუძველზეც მოითხოვა კომისიის სამივე წევრის აცილება.

5.2 საპროცესო კოლეგიამ დებულების 12.3 მუხლის საფუძველზე განიხილა საჩივრის ავტორის შუამდგომლობა და არ დააკმაყოფილა ის შემდეგ გარემოებათა გამო:

5.3 მიუხედავად იმისა, რომ საჩივრის ავტორმა შუამდგომლობა დააყენა დებულების 12.2 მუხლით განსაზღვრული 5 დღიანი ვადის დაუცველად, საქმის ობიექტურად განხილვის ინტერესებიდან გამომდინარე, კოლეგიამ არსებითად გამოიკვლია შუამდგომლობაში დაყენებული კოლეგიის მთლიანი შემადგენლობის აცილების საკითხი.

5.4 კომისიის წევრის/კოლეგიის აცილების საფუძვლები განსაზღვრულია დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულებაში (შემდგომში „დებულება“), მუხლი 11. დებულებით ეთიკის კომისიის წევრი არ შეიძლება მონაწილეობდეს საქმეში, თუ არსებობს გარემოებები, რომელიც სავარაუდოდ ხელს შეუშლის საქმის მიუკერძოებლად და სამართლიანად განხილვას.

5.5 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საჩივრის ავტორის მიერ დასახელებული მიზეზი - არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზირებული ტრენინგის არმქონე კომისიის წევრების მიერ ადვოკატის დისციპლინირების საკითხის განხილვა, არ არის ის გარემოება, რომელიც ხელს შეუშლიდა ადვოკატის დისციპლინირების საქმის მიუკერძოებლად და

სამართლიანად განხილვას. კოლეგიის განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ დისციპლინური წარმოებისას დადგება საჭიროება, დებულება (მუხლები 15.1, 33.8) კომისიას ანიჭებს უფლებამოსილებას მოიწვიოს ექსპერტი/სპეციალისტი საკითხის გამოსაკვლევად. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა, რადგან არ არსებობს კოლეგიის წევრთა სრული შემადგენლობის დებულებით გათვალისწინებული აცილების საფუძველი.

5.6 საჩივრის ავტორის პირველი პრეტენზია ადვოკატ მ. გ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატ მ. გ.-ის მიერ დასაცავ პირთა შორის იყო ინტერესთა კონფლიქტი, რის გამოც ადვოკატს ყველა მათგანის ინტერესი არ უნდა წარმოედგინა.

5.7 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. გ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1)

ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 6.1).

5.8 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, იმისათვის, რომ დადგინდეს ადვოკატის რამდენიმე კლიენტის ინტერესებს შორის კონფლიქტი, აუცილებელია ამ კლიენტების პრეტენზია ადვოკატის მიმართ. მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა არ შეიძლება სადავოდ გახადოს ადვოკატის ეთიკურობა ამ ნაწილში.

5.9 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი მ. ნ. ითხოვს დისციპლინური დევნის დაწყებას ადვოკატ მ. გ.-ის მიმართ იმ საფუძვლით, რომ მ. გ.-მა დაარღვია ინტერესთა კონფლიქტი, რადგან იცავდა ერთმანეთთან დაპირისპირებული მოწმეების ინტერესებს, რომლებიც საჩივრის ავტორის კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის მოწმეები იყვნენ. საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ თავად მოპასუხე ადვოკატის - მ. გ.-ის კლიენტებს (ბრალდების მოწმეებს) არ დაუფიქსირებიათ არავითარი პრეტენზია მათი ადვოკატის მიმართ, მათ შორის არ გამოუხატავთ პრეტენზია მათ მიმართ მ. გ.-ის მხრიდან ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო დარღვევის ფაქტზე. შესაბამისად, კოლეგიის შეფასებით, ადვოკატი მ. ნ. ვერ იქნება უფლებამოსილი განმცხადებელი მოწინააღმდეგე მხარის მოწმეების ადვოკატის მხრიდან მათი კლიენტების მიმართ შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის დარღვევის დადგენის მოთხოვნის ნაწილში.

5.10 საჩივრის ავტორის მეორე პრეტენზია ადვოკატ მაია გრიგოლშვილის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი მ. გ. ეთანხმებოდა პროკურორის შუამდგომლობებს ისე, რომ თავისი დაცვის ქვეშ მყოფებთან პოზიციას არ ათანხმებდა.

5.11 კოლეგიის შეფასებით, დაცვის სტრატეგიის შეთანხმება კლიენტთან, კლიენტის ინფორმირებისა და კვალიფიციური წარმომადგენლობის შემადგენელი ნაწილია (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2, ეთიკის კოდექსი, მუხლები 8.5, 8.6). თუმცა, აქაც

მნიშვნელოვანია სათანადო მომჩივანის დადგენა. ადვოკატი ვერ ჩაითვლება უფლებამოსილ განმცხადებლად მოწინააღმდეგე მხარის მოწმეების ადვოკატის მხრიდან კლიენტების ინფორმირებისა და მათთან დაცვის სტრატეგიის შეთანხმების ნაწილში. ამ პრეტენზიაზე უფლებამოსილი მომჩივანი იქნებოდა თავად კლიენტი ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი. შესაბამისად, მ. ნ. არ წარმოადგენს სათანადო მომჩივანს, რის საფუძველზეც, დებულების 9.1(გ) მუხლებით, კლიენტის ინფორმირებისა და კვალიფიციური მომსახურების სავარაუდო დარღვევის თაობაზე პრეტენზიის ნაწილშიც უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება ადვოკატ მ. გ.-ის მიმართ.

5.12 დებულების 6.1.(ა) მუხლი იმ პირს ანიჭებს ეთიკის კომისიისათვის მიმართვის უფლებას, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები. კომისიის პრაქტიკით, აღნიშნული უფლება გულისხმობს იმ პირის უფლებამოსილებას, რომლის წინაშეც ადვოკატს გააჩნია პროფესიული ვალდებულებები და პირს შესაძლოა გააჩნდეს პრეტენზია ამ ვალდებულებების შეუსრულებლობის ან მისი შესრულების ხარისხის შესაბამისად. ადვოკატ მ. გ.-ის კლიენტებს ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს მასთან პრეტენზია არ აქვთ. შესაბამისად, ადვოკატი მ. ნ. ვერ ჩაითვლება უფლებამოსილ განმცხადებლად მის მიერ მითითებული პრეტენზიების ნაწილში.

5.13 ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად (დებულება, მუხლი 9.1(გ)).

5.14 საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, საჩივრის ავტორი, ადვოკატი მ. ნ. მის მიერ დასახელებული პრეტენზიების ნაწილში არაუფლებამოსილი პირია, რის საფუძველზეც საპროცესო კოლეგია, საქმის არსებითი განხილვის გარეშე წყვეტს დისციპლინურ წარმოებას ადვოკატ მ. გ.-ის მიმართ ორივე პრეტენზიის ნაწილში.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა დებულების 5.2, 9.1.(გ), 11, 12, 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N048/17 ადვოკატ მ. გ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/